ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №847797

ნომერი: AR1152745

თარიღი : 07.08.2013

გაცემის თარიღი : 15.08.2013

გაცნობის თარიღი : 15.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა მჭედლიძე პ/ნ 01012019779
- თბილისი კახეთის გზატ. კორ. 34"ვ" ბ. 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

– AR1152742 განაცხადიდან ირკვევა, რომ სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობა უნებართვოა და არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს, გამომდინარე აქედან არქიტექტურის სამსახური მოკლებულია მასზე რაიმე სახის წერილობითი თანხმობის ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას. მხოლოდ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაციის, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტების, არსებული შენობის კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთების წარმოდგენის შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის განმეორებით განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.